ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს
წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" რექტორის

ბრძანება №02-02/225

ქ. თბილისი 05. 10. 2012

ა(ა)იპ `საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" სკოლების (ფაკულტეტების დეკანატების მიერ დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტების აღრიცხვიანობის მოწესრიგებისა და მათი სტატუსის დამარეგულირებელი აქტების მომზადების შესახებ

ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" წესდების მე-6 მუხლის, ამავე უნივერსიტეტის დებულების მე-10.4 პუნქტის, ამავე უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილების (ოქმი №1, 14.09.2012) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. სასწავლო პროცესის ორგანიზაციული სრულყოფის, სტუდენტური ბაზების დახვეწისა და შეუფერხებელი მუშაობის უზრუნველყოფის მიზნით ა(ა)იპ „საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის" ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბინესის მართვის, ფიზიკა-მათემატიკურ და კომპიუტერულ მეცნიერებათა, სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს დაევალოთ:

   1.1. ყოველი სასწავლო სემესტრის დასასრულს დააზუსტონ და აღნუსხონ სტდენტები (აკადემიური განათლების სამივე საფეხურის), რომელთაც შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული გეგმიური ვადისა და აკადემიური მონაცემების თანახმად, შესაბამისი საფეხურის აკადემიური ხარისხის მისაღებად შესასრულებელი აქვთ არაუმეტეს 40 კრედიტისა და დამდეგი სემესტრი მათთვის პოტენციურად შეიძლება აღმოჩნდეს დამამთავრებლი;

   1.2. მოამზადონ წარდგინება აღნიშნული სტუდენტების თაობაზე;

2. დეკანატების წარდგინების საფუძველზე, წინამდებარე ბრძანების 1.1. პუნქტით გათვალისწინებული სტუდენტების მიმართ მომზადდეს და გამოიცეს მათი დამდეგი სტატუსის დამარეგულირებელი რექტორის სამართლებრივი აქტი;

3. ბრძანება გასაცნობად დაეგზავნოთ: ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს,; საქმისწარმოებისა და სასწავლო პროცესის რეგულირების სამსახურს; ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ფიზიკა-მათემატიკურ და კომპიუტერულ მეცნიერებათა, ეკონომიკისა და ბიზნესის მართვის, სოციალურ მეცნიერებათა და სამართალმცოდნეობის სკოლების (ფაკულტეტების) დეკანატებს, ენების ცენტრს, პროგრამული უზრუნველყოფისა და ელექტრონული რესურსების რეგულირების სამსახურს;

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე, რექტორი
პროფესორი სერგო ვარდოსანიძე